პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 139 (26480) — პარასკევი, 16 ივნისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ვაშენოთ ახალი საერთო სახლი ევროპაში
მ. ს. გორბაჩოვი ბადენ-ვიურტემბერგში

სურათზე: შტუდგარტის აეროპორტში. — საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

შტუდგარტი, 14 ივნისი. (**საკდესის სპეც. კორ.**). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დღეს ეწვია ბადენ-ვიურტემბერგის მხარის მთავარ ქალაქს. სსრ კავშირის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბადენ-ვიურტემბერგის მხარის დროშებით მორთულ შტუდგარტის აეროპორტში მას დახვდნენ მხარის პრემიერ-მინისტრი ლ. შპეტი მეუღლითურთ, ლანდტაგის (სამხარეო პარლამენტის) თავმჯდომარე ე. შნაიდერი მეუღლითურთ და სხვა ოფიციალური პირნი. შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები. ბავშვებმა მ. ს. გორბაჩოვსა და რ. მ. გორბაჩოვას ყვავილები მიართვეს. პირველი ნაბიჯებიდანვე საბჭოთა სტუმრებმა იგრძნეს ბადენ-ვიურტემბერგის მხარის კოლორიტი: პირდაპირ თვითმფრინავის კიბესთან ისინი აღმოჩნდნენ ძველებური შვაბურ ტანსაცმელში გამოწყობილ მუსიკოსთა და მოცეკვავეთა ჯგუფის გარემოცვაში.

შტუდგარტი ფედერაციული რესპუბლიკის მსხვილი ინდუსტრიული, სავაჭრო, სამეცნიერო და კულტურული ცენტრია, რომლის მოსახლეობა ნახევარ მილიონს აღემატება. აქ არის მსოფლიოში კარგად ცნობილი კონცერნების „ბოშის“, იბმ-ის, „დაიმლერ-ბენცის“ საწარმოები, ელექტრონული, მანქანათმშენებელი, კვების, ხის დამამუშავებელი, პოლიგრაფიული მრეწველობის ქარხნები და ფაბრიკები. ბადენ-ვიურტემბერგის მხარე აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს ქვეყანასთან სავაჭრო-სამრეწველო დარგში. შტუდგარტში კი რეგულარულად გამოდიან საბჭოთა მსახიობები და შემოქმედებითი კოლექტივები, ეწყობა სსრ კავშირის ხალხთა კულტურისა და ხელოვნების გამოფენები, ლიტერატორთა, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა შეხვედრები. აქტიურად მოქმედებს „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის“ ვიურტემბერგის საზოგადოება.

ქალაქის მცხოვრებნი უაღრესად გულთბილად და გულითადად შეხვდნენ საბჭოთა ხელმძღვანელს ავტომანქანების კორტეჟის მიერ გზაზე — აეროპორტიდან „ნოიეს შლოსის“ ციხე-დარბაზამდე — ათასობით ადამიანი გამოსულიყო და ხელში ეჭირა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პატარა ალმები. დიდძალი ხალხი იყო ციხე-დარბაზის წინ მოედანზე, სადაც გაიმართა შეხვედრის ოფიციალური ცერემონია. საბჭოთა ხელმძღვანელს წარუდგინეს სამხარეო საბჭოს წევრები და ბადენ-ვიურტემბერგის მხარის თვალსაჩინო ადამიანები.

ლ. შპეტმა და მ. ს. გორბაჩოვმა მისასალმებელი განცხადებები გააკეთეს.

საბჭოთა ხელმძღვანელმა ხელი მოაწერა სამხარეო მთავრობის საპატიო სტუმართა წიგნში. გაიმართა მისი საუბარი ლ. შპეტთან.

ბადენ-ვიურტემბერგის მხარის პრემიერ-მინისტრმა საპატიო სტუმარს გაუმართა დარბაზობა, რომელზეც საბჭოთა ხელმძღვანელმა და სამხარეო მთავრობის მეთაურმა სტუმრებს წარმოთქვეს.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი ეწვია შტუდგარტის უნივერსიტეტს, სადაც აჩვენეს რთული მოწყობილობა — რობოტები, კომპიუტერები, საინფორმაციო სისტემები თანამგზავრის კავშირის ელემენტებითურთ, ავტომატური საწარმოო კომპლექსები.

საბჭოთა ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა გამოფენის ორგანიზატორებს, აღნიშნა მისი მაღალი დონე. მან გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამეცნიერო და საწარმოო ურთიერთობა ბრწყინვალე შედეგებს მოიტანს.

ჩაი — 89

დავიცვათ კრეფის წესები

„ კ ი ს ა ს ა ნ ი ს“ სუბტროპიკული ზონის საზოგადოებრივი მეურნეობების მეჩაიეები წლევანდელი სეზონისათვის მზადებას შარშან, ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრებისთანავე შეუდგნენ. მათ შრომა გაიორკეცეს და შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულში ჩაის ბუჩქებს მზრუნველობა არ მოაკლეს. ეს მზრუნველი ხელი დღეს ყველა პლანტაციას კარგად ატყვია. ამიტომ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი საკრეფად ყველგან უხვად შემოვიდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მეჩაიეობის რაიონებში 15 ივნისისათვის სულ დამზადებულია 156.294 ტონა ნედლეული, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 46.140 ტონით მეტია.

მეჩაიეობასა და ჩაის მრეწველობაში მართლაც შეუძლებელია წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების ერთი ხელის დაკვრით გადაჭრა, დამკვიდრებული სტერეოტიპული აზროვნების შეცვლა, მაგრამ ჩვენი მეჩაიეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო ხანს ჩაის ხარისხში გარკვეული დადებითი ძვრები და გარდატეხა იგრძნობა. შარშან ოთხჯერ და მეტად შემცირდა უხარისხო ნაწარმის გამოშვების ფაქტები. წარმოებულ პროდუქციაში გაიზარდა ტანინის, ექსტრაქტული ნივთიერებების და კოფეინის შემცველობა. წლევანდელ გაქვლილ პერიოდში უკეთესი შედეგებია მიღებული. სადღესისოდ რესპუბლიკაში მთლიანად დამზადებულ ჩაის მასაში პირველი ხარისხის ფოთლის ხვედრითი წილმა 61,7 პროცენტი შეადგინა.

მაგრამ ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ხარისხისათვის ბრძოლას ჯერჯერობით არა აქვს სტაბილური ხასიათი. ყველა კომერციულობას, საბჭოთა მეურნეობას და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოს იგი ჯერ არ გადაუქცევია მუშაობის ქვაკუთხედად, პრობლემის, გადაწყვეტისათვის ყველგან არ იგრძნობა მკაცრი მომთხოვნელობა, ადამიანის ფაქტორის გაძლიერებისათვის ზრუნვა. ამიტომაც ვამბობთ, რომ ხარისხის გაუმჯობესებაში მიღწეული პოზიტიური ძვრები მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი ბრძოლისა, რომელიც ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს ელით...

პირველი ვეგეტაციის ხარისხიანი ჩაის ფოთლის კრეფის აგროვადები თანდათანობით იწურება. ამან რამდენადმე შეანელა ნედლეულის დამზადების ტემპი. არადა, დაუკრეფავი ჩაის ბუჩქები ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი, ასაღებია ასობით ტონა ნედლეული, რათა ახალი ვეგეტაცია არ დაგვიანდეს. მეჩაიეები მის აღებას ჩქარობენ. ამ სიჩქარეში კი ზოგან ყლორტებთან ერთად ბუჩქების საარსებო ფოთლებსაც გლეჯენ. უფრო მეტიც, ბევრგან თვითნებაკეთი აკრძალული იარაღებითაც სხეპავენ ბუჩქებს, რაც ძალიან აკნინებს მათ და ხშირად ახმობს კიდეც.

ეს რომ ასეა, ამის დამადასტურებელი ფაქტები და მწვავე სიგნალები საკმაოდ შემოდის რედაქციაში რაიონებში შექმნილი „კომუნისტის“ საგუშაგოებიდან. ამის თაობაზე ეწერდით კიდეც ჩვენს პუბლიკაციებში. ასეთი რამ დაუშვებელია. საჭიროა ჩაის ფოთოლი ყველგან და ყოველთვის ეკრიფოთ მხოლოდ ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური წესების დაცვით. ამით ხელს შეიუწყობთ ბუჩქების ნორმალურ ზრდა-განვითარებას, საგგმო დავალების შესრულების საქმეც არ დაზარალდება და, რაც მთავარია, დამზადებული პროდუქციის ხარისხიც კარგი იქნება. მომხმარებელი კი სწორედ ამას ელის ჩვენგან.

გთავაზობთ ხარისხიანი ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობის ამსახველ მონაცემებს რაიონების მიხედვით 15 ივნისის მდგომარეობით.

ოზურგეთის რაიონში სულ მოკრეფილია 29.269 ტონა ნედლეული, ზუგდიდში — 19.673, გალში — 14.860, ქობულეთში — 14.706, ოჩამჩირეში — 10.456, წალენჯიხაში — 8.980, ჩხოროწყუში — 7.817, მარტვილში — 8.620, ლანჩხუთში — 8.328, ხელვაჩაურში — 6.732, ჩოხატაურში — 4.555, სენაკში — 3.671, ქ. წყალტუბოს ზონაში — 3.463, ხობში — 3.520, ქ. ტყიბულის ზონაში — 3.298, ხონში — 2.752, გუდაუთაში — 2.356, გულრიფშში — 849, სამტრედიაში — 754, ქედაში — 336, ვანში — 418, თერჯოლაში — 351, ქ. ჭიათურის ზონაში — 346, სოხუმში — 59, აბაშაში — 88 და ზესტაფონში — 37 ტონა.

„კომუნისტის“ ეკონომიკის განყოფილება.

სუსხიანი სტრიქონები

სად არის ვაგონის პატრონი?

ანუ რატომ და ვისი ჯიბიდან ვიხდით ჯარიმებს

წინააღმდეგობრივი მოვლენებით არის აღსავსე ამერკაკასიის რკინიგზაზე შექმნილი მდგომარეობა. მრავალ „გამოცანას“ გეთავაზობს ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი და თავი უნდა იტეხო, რომ გაერკვე მაში. მთლიანად გზამ და კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე მისმა ნონაკვეთმა ხუთი თვის ტვირთის გაგზავნის გეგმა გადაჭარბებითაც კი შეასრულეს. გათვალისწინებულზე მეტი სახალხო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი მიაწოდეს შემკვეთს მთლიანად თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებმა. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მთელი 18,3 პროცენტით გაიზარდა ვაგონების ბრუნვა, ამ პერიოდში მემანქანეებმა წაიყვანეს 1916 მძიმე წონიანი მატარებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ზეგეგმით 557 ათასი ტონა ტვირთია გადაზიდული.

ასეთი მიღწევების ფონზე გაგაკვირვებთ მეორე მაჩვენებელი: როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მოცდენილი ვაგონების რაოდენობა დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების შესრულების პროცესში 13,5 პროცენტით აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ერთი სატრანზიტო ვაგონის მოცდენა საშუალოდ სამტრედიის განყოფილების ტერიტორიაზე 32,5 პროცენტით სჭარბობს გეგმით ნავარაუდევს, ხოლო თბილისის განყოფილებაში — 94 პროცენტით.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა დავუთმოთ ვაგონების მოცდენების საკითხებს. დავიწყოთ იქიდან, რომ იანვარ-აპრილში ვაგონები დაწესებული ნორმის გადამეტებით 327,4 ათასი საათით მოცდა. ორგანიზაციებმა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ვაგონების დროული გადმოცლა, 990,2 ათასი მანეთის ჯარიმა გადაიხადეს. ციფრები, როგორც ხედავთ, საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, პირველი მათგანი 8,4 პროცენტით, ხოლო მეორე — 7,4 პროცენტით ნაკლებია.

საქმეს თითქოს წინსვლა შემდგომშიც უნდა დასტყობოდა, მაგრამ ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ეს ასეა, ეს ასეა, ეს ასეა. ეს ასეა, ეს ასეა, ეს ასეა. ეს ასეა, ეს ასეა, ეს ასეა



ზრუნვას ნაყოფიერი შრომით უპასუხებენ

რუსთავი თბილისში სიტყვა ჩამოვარდება ხოლმე მშენებლებზე, საგანგებოდ ასახელებენ № 8 სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივს. სხვებზე ადრე მიხვდნენ, რომ ბინების ხარისხის გაუმჯობესება შეიძლება, უწინარეს ყოვლისა, თვით მშენებლებისათვის ზრუნვით. „მაღლივმშენის“ ყველა სამშენებლო მოედანზეკე, სახადილო შესვენებისას მშენებლებს ეახლებათ ხოლმე მოძრავი სახადილები ცხელი კერძებით, ახალი ბოსტნეულით, კომბინატს ხომ დამხმარე მეურნეობა აქვს, კომბინატის ტერიტორიაზე აშენდა საცურაო აუზი ხაუნით.

მშენებლებისათვის ესოდენ ზრუნვა კეთილად ნაზღაურდება: თუ შარშან სახლთსაშენებელმა კომბინატმა საექსპლოატაციოდ ათი მაღლივი საცხოვრებელი კორპუსი გადასცა, რომელთა საერთო ფართობი 63.645 კვადრატული მეტრი იყო, წელს ეს ციფრი გაიზრდება — აშენდება 69.809 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის 12 კორპუსი.

სურათებზე: სამუშაოთა მწარმოებელი რამაზ მათიაშვილი, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი კარლო გეწაძე და მშენებელი ოტტატი გოჩა გონაშვილი; №8 სახლთსაშენებელი კომბინატის ერთ-ერთი სამშენებლო უბანი დიდი დილის ახალ საცხოვრებელ მასივში.

საქინფორმის ფოტო.

ზარალიანი საწარმო მოგებიანი ხდება

სრული სამეურნეო ანგარიშისა და, მით უფრო, იჯარის პირობებში მუშაობისას კი, — ჩაერია საუბარში გაერთიანების მთავარი ინჟინერი ლენა შავგულიძე, — ერთ-ერთი მთავარი პირობაა ნაწარმის თვითღირებულებისა და არამწარმოებლური ხარჯების შემცირება. ეს ხომ პირდაპირ მოქმედებს მოგებასა და, შესაბამისად, ფონდებზე. და კიდევ ერთი, უმთავრესი საზრუნავი — ნაწარმის ხარისხი, მისი გაუმჯობესებისათვის ბრძოლის პირველ ეტაპზე გარკვეულ ადმინისტრაციულ ზომებსაც მივმართეთ. იმ მიზნით, რომ ზუნისმკეთებელს, როგორც იტყვიან, საკუთარი ჯიბით ეგრძნო მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობა, მას ზუნისათვის გარკვეულ თანხას ვუქვითავდით. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ თანხამ 1987 წელს 10,4 ათასი, ხოლო 1988 წელს 9,2 ათასი მანეთი შეადგინა. მაგრამ განა ეს სწორი გზაა? მთავარია თითოეულგზა მუშაკმა შეიგნოს, რომ პროდუქციის ხარისხი დღეს უმთავრესია. მაგრამ ამისათვის სათანადო პირობების შექმნაც არის საჭირო.

• მხედველობაში მაქვს თუნდაც ის, რომ საწარმო მესამე წელია 920 ათას წყვილ ფეხსაცმელს ამზადებს საწარმოო სიმძლავრეებით გათვალისწინებული 900 ათასი წყვილის ნაცვლად. არადა, როგორც შესაბამისმა ეკონომიკურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, თუ გეგმებს 20-25 პროცენტით შევამცირებთ, აღმოიფხვრება იერიშმბალა, ხარისხიც გაუმჯობესდება და მომხმარებელიც მოიგებს...

როგორც აღვნიშნეთ, ფაბრიკა 1987-88 წლებში სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირველი მოდელით მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამან ერთგვარი დადებითი შედეგები მისცა საწარმოს, ხელშემშლელი მიზეზები და უარყოფითი მხარეებიც საკმაოდ იყო. მრავალრიცხოვანი ნორმატივები ზღუდავდა შრომითი კოლექტივის ინიციატივას, ამცირებდა მის დაინტერესებას მოგების ზრდისათვის, რადგან ეკონომიკური სტიმულირების ფონდები მკაცრად იყო განსაზღვრული. ამის გამო კი, შრომის ნაყოფიერების ზრდის მიუხედავად, ნაკლებად იზრდებოდა სტიმულირების ფონდები. გარდა ამისა, სამეურნეო ანგარიშის პირველი მოდელის პირობებში გართულებული იყო დაგეგმვა და აღრიცხვა. ყოველივე ამას ხელმძღვანელი დარგობრივი და სხვა სახელმწიფო ზემდგომი ორგანოების ნორმატიული დოკუმენტაციების, დადგენილებებისა თუ სხვა აქტების ხშირი ცვლილებებიც ემატებოდა, რაც კიდევ უფრო ართულებდა მუშაობას. ამიტომაც ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან სანარდო იჯარაზე გადასულიყო.

— იჯარის ეფექტი,— გვითხრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის პროფესორმა პავლე ჩაგელიშვილმა, რომელიც საწარმოს ეხმარება იჯარის დანერგვაში, — დამოკიდებულია წარმოების ეფექტიანობაზე, მის სპეციფიკასა და გაწეული მოსამზადებელი სამუშაოების ხარისხზეც. ამ სამუშაოებში შედის შრომის ბრიგადული ანაზღაურების სისტემის დანერგვა, რადგან იჯარის საფუძველი სწორედ ეს გახლავთ. ზოგიერთ საწარმოში კი შრომის ანაზღაურების ბრიგადული სისტემა ფორმალური ხასიათისაა. მეორე მძლავრი ფაქტორი, რომელიც იჯარაზე მოქმედებს, ეს გახლავთ შრომითი კოლექტივის მომზადება საამისოდ. წარმატებას მაშინ მივაღწევთ, როცა თითოეული მუშაკი საფუძვლიანად გაეცნობა იჯარით მუშაობის ყველა დეტალს, შემოსავლისა და გასავლის მთლიან სისტემას. სანარდო იჯარის დანერგვისას დიდ სირთულეს ვხვდებით გაერთიანებასა და სამინისტროს შორის არსებული ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი ურთიერთობის გამო. საქმე ის გახლავთ, რომ სამინისტროს აპარატი ცდილობს შეინარჩუნოს ის ტრადიციული მოთხოვნები, რომლებიც ფაქტობრივად იჯარის დროს აღარ უნდა არსებობდეს. სამინისტროს ფუნქციები ძირითადად განსაზღვრული უნდა იქნეს იმით, რომ კონტროლს უწევდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, აღჭურვილობის განახლებას, საწარმოს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას, არეგულირებდეს საწარმოთა საგარეო კავშირურთიერთობას და სხვ. ამის ნაცვლად კი აქ განაგრძობენ წვრილმან მეურვეობას, რაც უარყოფითად მოქმედებს იჯარაზე...

საწარმოში გულდასმით გაანალიზეს ყველა წვრილმანი, მეცნიერთა მონაწილეობით ჩაატარეს ლექციათა ციკლი, აუხსნეს თითოეულ მუშაკს, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო იჯარას. მშრომელებიც დარწმუნდნენ მის უპირატესობაში და დეკემბრისათვის უკვე შეადგინეს სპეციალური დოკუმენტი. ასე რომ, დიდი ხელშეკრულება საქართველოს სსრ მესუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და ფეხსაცმელების ფაბრიკა „ნარიყალას“ შორის. ხელშეკრულებაში ყველა სათანადო პუნქტია გათვალისწინებული. თუ იჯარამდე საწარმო სამინისტროს თავისი მოგების 35 პროცენტს უხდიდა, ახლა ეს აღარ უნდა მოხდეს, ამასთანავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულს გარდა თავიდან მოიცილეს ბანკის გადასახადები. ამეამად ფაბრიკაში დაინტერესებული არიან იმით, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდოს შემოსავალი, რადგან იგი მათსავე კეთილდღეობას მოხმარდება. იჯარაზე გადასვლამ შეამცირა კადრების დენადობა. მუშათა კლასი ენდო გაერთიანების ხელმძღვანელობას, რაც დიდი როლი შეასრულა მატერიალური წახალისების ფორმების დახვეწამ. მშრომელები დარწმუნდნენ, რომ თუ კეთილსინდისიერად იშრომებენ, საბოლოო შედეგების მიხედვით ანაზღაურება მათთვის ხელსაყრელი იქნება, განუმტკიცდათ საკუთარი საამქროს, საკუთარი უბნის ბატონ-პატრონის გრძნობა. ამიტომაც არის, რომ ახლა ისინი უფრო მომჭირნედ ხარჯავენ ნედლეულსა და რესურსებს, პასუხისმგებლურად ირჯებიან...

ახლა ფაბრიკაში სერიოზულად მუშაობენ საამქროებისა და ბრიგადების იჯარულ ურთიერთობაზე გადაყვანისათვის. ყველა საამქროში განისაზღვრა შიდასაანგარიშგებო ფასები, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დანახარჯების ნორმატივები, მომზადდა მუშა-მოსამსახურეთა კადრები, შედგა შესაბამისი დოკუმენტაცია, გადაისინჯა და დაზუსტდა შრომის ხარისხის მაჩვენებლები და შრომითი წვლილის კოეფიციენტის აღრიცხვა-გაანგარიშების მეთოდიკა... იჯარით მუშაობის უპირველესი ამოცანაა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. მაგრამ ამას ბევრი მიზეზი უშლის ხელს. წინააღმდეგობებია ეკონომიკური თვითმმართველობის სურეყოფასა და თვითდაგეგმვას შორის, მოსაწესრიგებელია საბითუმო ვაჭრობა, გასარკვევია საიჯარო გადასახადები შემადგენლობა, ხშირად ასპროცენტიანი სახელმწიფო შეკვეთა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ წარმოებამ თავისი მოცულობის გარკვეული ნაწილი შემოქმედებითი მუშაობისათვის გამოიყენოს და სხვ. არადა, ყველაფერი ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მომხმარებელი კმაყოფილი გვყავდეს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ვარკეთილი-3“ საცხოვრებელი მასივის მახლობლად დაიწყო ახალი თანამედროვე ფეხსაცმლის ფაბრიკის „ნარიყალას“ მშენებლობა, რომელიც კარგი ტემპით მიმდინარეობს და მის დამთავრებას ერთ წელიწადში აპირებენ. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეტი ყურადღებითა და გულისყურით უნდა მოეკიდონ საწარმოს მუშა-მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საკითხს. მათ ნაყოფიერი მუშაობისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები უნდა ჰქონდეთ.

იჯარა, როგორც ვთქვით, საწარმოში ახალი დანერგგილია. ამდენად რაიმე საბოლოო შედეგებზე ლაპარაკი ჯერჯერობით საადრეოვა, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ მან უკვე გარკვეული დადებითი როლი შეასრულა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მუშაობის ფორმები და მეთოდები გზადაგზა თანდათან იხვეწება. კოლექტივს მიაჩნია, რომ წლის ბოლოსათვის გამოკვეთილი სასურველი შედეგები ექნება და მომხმარებელი კმაყოფილებით შეიძენს თბილისურ ბავშვისა თუ მოზარდის ფეხსაცმელს. ამისათვის კი საწარმოს სამინისტროს სისტემატური თანადგომა და დახმარებაც სჭირდება.

ლალი ჭინჭარაძე.

სითბო და ყურადღება ახალმოსახლეებს

დღეს შექმნილი ვითარება ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო სფეროში, აქ ფეხმოკიდებული ნეგატიური მოვლენები, დარღვევები, დეფიციტური საქონლისა თუ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების გადამალვის არა ერთი ფაქტი იქნა გამოაშკარავებული პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შექმნილი და უკვე მოქმედი მუშა კონტროლიორების მიერ. ეს მოითხოვს გადამჭრელი ზომების მიღებას სათანადო წესრიგის დამყარებისათვის.

ზედაპირზე — ზედაპირულად

ტყიბული—მრეწველობის ერთ-ერთი მძლავრი კერაა საქართველოში. მუშათა ქალაქში ყველაფერი აგებულია შრომაზე. მეშახტეთა ქალაქს რომ ახასიათებენ, ჩვენში პირველ რიგში ტყიბულს გულისმობენ. შახტის სპეციფიკურობა კი მარგანეცის გამოღებისაგან იმით განსხვავდება, რომ თუ ჭიათურაში მარგანეცის ფენები ჰორიზონტალურადაა განლაგებული, ქვანახშირის მადნის ამოღება მიწის სიღრმიდან ხდება, რაც თავისთავად საძნელოა და ამასთან ერთად ნედლეულის დამუშავების პროცესში გამოყოფილ მეთანის გაზის საშიშროებასთან არის დაკავშირებული. ამასთან მიწის წიაღში რაც უფრო ღრმადაა საექსპლუატაციო ფრონტი, მით უფრო დიდია სამთო წნევების მოხდენა. ამიტომაცაა, რომ ტყიბულელი მეშახტის შრომა მძიმე შრომად არის მიჩნეული და აქ მომუშავე ხალხს აუარადღებაც განსაკუთრებით ესაჭიროება.

ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მუშაკებისადმი მუშათა კონტროლის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ საკავშირო პროფსაბჭოს ცნობილი დადგენილების შესაბამისად ტყიბულში შექმნილია მუშა კონტროლიორთა ზედამხედველობის საქალაქო კომისია, რომლის მეთოდურ მუშაობას წარმართავს ქალაქის პროფკავშირების საკოორდინაციო საბჭო. კომისიაში არჩეულია 19 წევრი, ქალაქის სახალხო კონტროლის, პროკურატურის, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის, მილიციის, სანეპიდსადგურის წარმომადგენლების მონაწილეობით. კომისიის თავმჯდომარეა გ. ჯინჭარაძე.

ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და პროფკავშირული მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივი დადგენილებით ქალაქის ზონის ტერიტორიაზე შექმნილია და მოქმედებს მუშათა კონტროლის 130 ჯგუფი, 458 კონტროლიორი, რომელთა შორის 338 მუშაა.

როგორც ჩვენთან საუბარში გ. ჯინჭარაძემ განაცხადა, დღეისთვის მუშა კონტროლიორებს ჩატარებული აქვთ 158 შემოწმება, რომლის დროსაც გამოვლენილია საქონლის გადამალვის 5 შემთხვევა, ფასების დამალვის 4, ანტისანიტარიის 7, სასადილო კერძის რეცეპტურისა და კალორიულობის დარღვევის 2, საკასო აპარატურის უმუშევრობის 8 შემთხვევა. გ. ჯინჭარაძესთან საუბარში ისიც დადგინდა, რომ თვით საქალაქო სათავო ჯგუფის თაოსნობით მიმდინარე წლის მარტის თვეში ჩატარებულია შემოწმებები ვაჭრობის ქსელსა და სასაწყობო მეურნეობებში, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ ქალაქის სახალხო კონტროლის და გაზეთ „ტყიბულის“ redაქციის თანამშრომლებს. გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების შესახებ მასალები გამოქვეყნებულია გაზეთის 20 მარტის ნომერში.

აი ზოგიერთი ამონაწერი ამ წერილიდან: დადგინდა, რომ განვლილ პერიოდში საქალაქო სათავო ჯგუფის სხდომა მოწვეულია სამჯერ. სამუშაო ჯგუფს დებულებად შეურჩევიათ ჟურნალ „საბჭოთა პროფკავშრების“ 1988 წლის მეოთხე ნომერში დაბეჭდილი მეთოდური წერილი „საკონტროლო შესყიდვა“. ამ წერილის მიხედვით, როცა კონტროლიორი შესამოწმებლად მიდის, მან აუარადღება უნდა გაამახვილოს სასურსათო პროდუქტების შესყიდვასა და ანგარიშსწორების წესებზე. აქ თურმე ძალზე ბევრი „წყალქვეშა ქვებია“, რომელთა გადაცხრილვისათვის(?) აუცილებელია ზოგიერთი წესების ცოდნა. აქვეა მაგალითი მოყვანილი რომ, თურმე საქონლისა და კერძების სწორი შემოწმება, უნდა დავიწყოთ საკონტროლო შესყიდვიდან (?), რომელიც უნდა გაკეთდეს როგორც საკვაჭრო დარბაზში, ასევე ბუფეტში, კულინარიის მაღაზიაში და წვრილ საცალო ქსელში...

ერთი სიტყვით ნათელია თუ რას ამოწმებენ და როგორ ამოწმებენ.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორის გ. დონაძის დახმარებით კომისიის რამდენიმე წევრთან ერთად ვესტუმრეთ საზოგადოებრივი კვებისა და სასურსათო მაღაზიებს. თავიდანვე ვიტყვით, რომ დღესდღეობით ტყიბულის მუშათა სასადილოებში არსად არ შეიმჩნევა კონტროლიორის ხელი. ამ საკითხით დაინტერესებული არ არიან პროფკავშირული ორგანიზაციები. სასადილოებში სტენდებზე აღნიშნულია იმავე დაწესებულებიდან გამოყოფილი ორი კონტროლიორის ვკარი, მაგრამ ეს ძველი ნაშთია და წლების მანძილზე გაყვითლებულ ფურცლებზე ძლივს თუ ამოიკითხავ გვარებს, თანაც არ არის აღნიშნული სად მუშაობენ ესა თუ ის პიროვნებები. აქ გაუგებრობა რომ გამეფებულია, ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდით მუშებთან საუბრის დროს. ისინი უღიმღამოდ შეეკითხენ მირთმეულ სადილს და კითხვაზე, თუ ვინ აქვეს ყურადღებას სასადილოში კერძების სიუხვეს ან მომარაგების საკითხებს, - ყველგან ერთი და იგივე პასუხი მივიღეთ: არავინ. 6 კვირაა საქონლის ხარაცი არ შემოუტანიათ სასადილოში, ჩვენ კი მხოლოდ ბორშჩით გვიმასპინძლდებიანენ. უფრო ხშირად ღორის ხორცი მოაქვთ, მაგრამ იმდენად ქონიანია, რომ მისგან დამზადებულ კერძს ვერ ვიგუებითო.

დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ თითქმის არც ერთ სასადილოში წესიერად არ ხდება საკვები პროდუქტების შენახვა. განსაკუთრებით ეხება ეს მალე ფუჭებად ბალრეულს — კომბოსტოს, ხახვს, კარტოფილს. თითქმის ყველა სასადილოში ბლომადაა მომარაგებული მაკარონი, ვერმიშელი, ბრინჯი და სხვ. მაგრამ მათგან დამზადებული კერძები არსად არ აღმოჩნდა.

ქალაქში არსებულ ახალგაზრდული სასადილოს მართლაც საუკეთესოდ გაფორმებული სალონები აქვს, აქ სისუფთავეცაა მაგრამ როცა სასაწყობო მეურნეობაში ლოთვის გვერდით გვიდგას, ხელს გვიწყობს, ეს საზამთრო შეშაო, სამშენებლო მასალაო. მე, მაგალითად, ახალი ავტომანქანა „ვოლგაც“ მარგუნა...

— როგორია თქვენი სამუშაო პირობები?

— ყოველი ჩვენთაგანი ცდილობს უპირველეს ყოვლისა დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების წესები.

— რას იტყვით მხუთავი გაზის წარმოშობის შემთხვევებზე? რას აკეთებენ სათანადო სამსახურები, რომ სამუშაო ადგილებზე შეიქმნას პირობები მისი აღკვეთისათვის?

— თვალნათლივ ხედავთ, რომ ეს სანგრევი მომზადებულია ასაფეთქებლად. მომზადების ცელამ თავისი საქმე გააკეთა და ახლა ჩვენ ვაწარმოებთ სათანადო ხვრელებით ქვანახშირის ქანის წყლით გაჟღენთვას. ჩვენთან დაფიუძნებულია ასეთი წესი: თუ წყალი არ ერწყმის თითოეულ კვადრატულ მეტრზე, ისე აფეთქება არაეფექტური შემთხვევაში არ შეიძლება.

— გასულ წელს თქვენს შახტში მძიმე ავარიული შემთხვევა მოხდა, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა...

— ეს მოხდა ისე უცაბედად, რომ ყველა ჩვენგანმა იგი შემთხვევითობას მიეაწერეთ. ჰაერში მოძრავი მეთანი თვალისთვის უხილავია, მაგრამ საკმარისია რომ გაუხვიავებელ ველში ერთ გუნდად შეიკრას და ღერეთმა დაგვიფაროს...

— მაინც არ ეთმობთ პოზიციას,

— საუბარში ებმება იაშა გაბადაძე.

— 36 წელზე მეტია ამ პირობებში ვმუშაობთ, აქვე მყავს ჩემი შვილი, ჩემი მეუღლე და რძალიც.

მუშათა კონტროლი... უმოქმედოდ

შევიხედეთ, აღმოჩნდა, რომ კომბოსტო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა

მეცნიერებათა აკადემიაში, მეოთხე სართულზე, ერთ მყუდრო ოთახში იჯდა. წინ მუხრან მაჭავარიანის რჩეული ედო, ორი ლექსი მოენიშნა. ცოტა არ იყოს გამიკვირდა, წიგნებში და ნახაზებში ჩაფლული წარმომედგინა.

ვსაუბრობდით და ვგრძნობდი, რა ღრმა კვალი დაეჭნია მისთვის 9 აპრილის ტრაგედიას.

— ასეთი მწუხარება, აღშფოთება და გულისწყრომა არასოდეს განმიცდია. მე უპირველესად მასწავლებელი ვარ და ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია უსტუდენტებოდ. ორმოცი წელი არცთუ ცოტა დროა. ამ ათიოდე წლის წინათ უფრო იოლი იყო სტუდენტებთან ურთიერთობა, ბოლოს გართულდა, როგორ გინდა ელაპარაკო იდეალებზე, როდესაც პრაქტიკულად, ცხოვრებაში სულ სხვა რამეს ხედავენ.

როცა მიხვდნენ, რომ ყოველთვის არ ვეუბნებოდით სიმართლეს, არ ვცდილობდით მათი მისწრაფებების გაგებას, დავკარგეთ მათი ნდობა, — მითხრა ბატონმა მიხეილმა.

დღეს ჩვენ ხშირად ვამბობთ — სისტემური ანალიზი, სისტემური მიდგომა. ახლა სისტემურ რღვევასაც მოვესწარით — ეს პირდაპირ ვოქვათ, ურეტორიკოდ.

ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო ჩემი ცხოვრებიდან: მამაჩემი სრულიად ყრმა წავიდა გერმანიასთან ომში მოხალისედ, მაღალი ჯილდოები მიიღო და საკმაოდ დიდი „ჩინიც“ დაიმსახურა.

1917 წელს პეტროგრადიდან, სადაც ჯარისკაცების და ოფიცრების კომიტეტის წევრი იყო, საფრანგეთში საექსპედიციო კორპუსში გაგზავნას თხოულობდა, კარლო ჩხეიძე კი საქართველოში გამოგზავნა და დაარიგა — შვილო, საფრანგეთში რა გინდა, საქართველოს უფრო გამოადგებიო.

ეი, ასე უნდა ფიქრობდეს დღეს ყველა. ბევრი ფათერაკი გადაიტანა — რევოლუცია, საღვრა პრაქტიკულად არ არის გამორიცხული.

ზოგჯერ გაისმის ხმები, რომ ჩვენ, აკადემიის თანამშრომლები, აპრილის დამდეგს პასიურები ვიყავით. მაგრამ როცა განსჯა და კანონით ლაპარაკი იყო საჭირო, ჩვენ გამოვიჩინეთ პრინციპულობა და აქტიურობა ორ ძირითად მომენტში. პირველი, ეს არის კონსტიტუციური კომისიის შექმნა იურიდიულად დასაბუთებული სტატუსით, და მეორე, ქიმიური ნივთიერებების გამოყენების მეცნიერული დამტკიცება. მე ვფიქრობ, ამ საქმეში აკადემიამ თავისი როლი მაღალ მეცნიერულ დონეზე შეასრულა.

* * *

სამეცნიერო მუშაობა ბატონმა მიხეილმა 1947 წელს დაიწყო არასიმეტრიული კვეთისა და მუხლანა ლილვების რხევების კვლევით. ინსტიტუტის დამთავრების ძმდეგ, 1948 ხელს, შევიდა ასპირანტურაში მანქანათა ნაწილების სპეციალობით. 1952 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „კონსულური და ფასონური ზამბარების რხევების ძირითადი პარამეტრების ანალიზური განსაზღვრა“.

ამ კვლევის პრინციპული სიახლე და თავისებურება ის იყო, რომ ობიექტი განიხილება დიდი არაწრფივობით და მცირე სიხისტით, ხოლო მისი გეომეტრიული ზომები და სიხისტე ფორმირდება რხევების პროცესში. ასეთი მიდგომა მკვლევარს საშუალებას აძლევს პრობლემა მათემატიკურად განიხილოს. ამ გზით შესაძლებელი გახდა მანქანათა რხევების თეორიაში ახალი ფაქტების დადგენა. უპირველესად ეს ეხება პარამეტრულ და არაწრფივ ეფექტებს მექანიზმებში და მათ მართვას. თეორიული შედეგები მეცნიერმა დაადასტურა ორიგინალური ექსპერიმენტებით. კვლევის შედეგები გამოიყენება ტექნიკის ახალ დარგებში — სპეციალურ და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაში, კოსმოსურ და ვიბრაციულ ტექნიკაში.

ეს საკითხები, მთელი რიგი პრაქტიკული და გამოყენებითი ამოცანების ამოხსნასთან ერთად, მ. ხვინგიამ წარმოადგინა 1965 წელს თავის სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც მიეძღვნა ზამბარების რხევებს. აძლამად კვლევა ამ მიმართულებით ინტენსიურად ვითარდება, ვიხაიდან მათი აქტუალურობა კოსმოსია ათვიაებასთან დაკავშირებული ახალი ამოცანების გადარწყვეტის აუცილებლობის გამო განსაკუთრებით გაიზარდა; კოლექტივი, რომელსაც მიხეილ ხვინგია ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი წამყვანია აქ დარგში.

მიღებული შედეგები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში დინამიკის განყოფილებაში ახალ კვლევა-ძიებას დაედო საფუძვლად. ამ განყოფილებას დაარსების დღიდან, 1966 წლიდან მ. ხვინგია ხელმძღვანელობს.

მიხეილ ხვინგიამ განყოფილების სამუშაოებში ჩაება ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები და ასპირანტები, ერთდროულად მეთოდიკურად გააფართოვა კვლევათა სფერო, დაამუშავა რეგულირებადი პარამეტრების მქონე ვიბრაციული მანქანების გაანგარიშებისა და კონსტრუირების ახალი მეთოდები, რომლებმაც პრაქტიკული გამოყენება პოვა ვიბრაციულ ტექნიკაში. შემდგომში მან გამოიკვლია, დაამუშავა და განაზოგადა რხევითი რეჟიმის მქონე მანქანების თვისებებია რიცხვითი შეფასების, ოპტიმიზაციისა და რეგულირებისა და ვიბრაციული მანქანების ვიბრაციული და აკუსტიკური დიაგნოსტიკის თეორიული მეთოდები, ამ თეორიის საფუძველზე კი — მავნე რხევებისა და ხმაურის შემცირების პრაქტიკული მეთოდები.

გამოკვლეულია დიდი არაწრფივობის მქონე სისტემების რხევები მათი გენერირებისა და მართვის მიზნით როგორც საერთო შემთხვევისათვის, ასევე ვიბრაციულ მანქანებში გამოყენებისათვის. ამ პერიოდის თეორიულ კვლევათა მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგია პრინციპულად ახალი, კონსტრუქციულად ორიგინალური სქემების შემუშავება ვიბრაციულ მანქანებში.

ეს სამუშაოები დანერგილია წარმოებაში და იძლევა არა მარტო მნიშვნელოვან რეალურ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ ეფექტსაც. მცირე ჰისტერიზისის მქონე ახალი ვიბრაციული მანქანები დიდსერიულ პარტიებად მზადდება ცხინვალის ქარხანაში „ელექტროვიბრომანქანა“. ამ მანქანაში განხორციელდა მ. ხვინგიას ყველა ახალი თეორიული ჩანაფიქრი ვიბრაციული ტექნიკის სფეროში, რამაც თავის დროზე უზრუნველყო წლიური ეკონომიკური ეფექტი — 3-5 მილიონი მანეთი.

ავტორის მიერ შექმნილი ვიბრაციული მანქანების გაანგარიშების ახალი მეთოდები დღეს ყველაზე სრულყოფილად ითვლება. ამ მანქანებს არა აქვს ანალოგი მსოფლიო ვიბრაციულ ტექნიკაში. პრიორიტეტი აქ უდავოდ მ. ხვინგიასა და მის მონაფეებს ეკუთვნით.

დღეს ეს მიმართულება, რომლის სათავეებთან დგას ავტორი, ფართოდ არის ცნობილი და აღიარებული ვიბრაციულ ტექნიკაში როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ. მ. ხვინგიას ნაშრომები გამოქვეყნებულია ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აღსანიშნავია აგრეთვე მისი ფუნდამენტური კვლევები პრობლემისა — „ადამიანი და ვიბრაცია“.

პრობლემის თეორიული სიახლე, რომელსაც წყვეტს მ. ხვინგია თავის მონაფეებთან ერთად ის არის, რომ დამუშავებული ახალი მათემატიკური მოდელი პუნთსა და კუნთების ერთობლიობის რხევას განიხილავს ცენტრალური ნერვული სისტემისა და გარეშე ვიბრაციის ზემოქმედებასთან კავშირში.

პრაქტიკულად ამ ციკლის კვლევები ჯერჯერობით გამოყენებულია ოპერატორების ვიბროდაცვის და ვიბროსტიმულაციის ეფექტიანი სისტემების შესაქმნელად, კერძოდ, ჩაის საკრეფ და სასხლავ მექანიზებულ ინსტრუმენტებში და კოსმოსურ ტექნიკაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მ. ხვინგიას მიერ ქართულ ენაზე პირველად გამოცემული სახელმძღვანელოები „რხევების გამოყენებითი თეორიის საფუძვლები და მახქანათა დინამიკა“ და „თვითმფრინავის კონსტრუქციის რხევები და დინამიკური სიმტკიცის საფუძვლები“. უფრო ადრე მან დაწერა სახელმძღვანელოები მანქახათა ნაწილებში და ზუსტი ხელსაწყოების ნაწილების გაანგარიშებასა და კონსტრუქციებში.

თავიაი გამოკვლევებით მ. ხვინგიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა მათემატიკური მოდელირების და გამოთვლითი ექსპერიმენტის გამოყენების საზღვრები მახქანათმშენებლობაში; მისი შედეგები ფართოდ ემყარება რთული რხევითი და დინამიკური პროცესების ოპტიმიზაციის მეთოდებს მანქახებში და „ადამიანი — მანქანა“ სისტემებში, ანალოგიური და ციფრული გამოთვლითი მახქანების გამოყენებით; ეს მეთოდები ორიგინალურია, გამოირჩევა ფიზიკური სიმდელობით და ზუსტი თეორიული მიდგომით. ამრიგად, მ. ხვინგიას სამუშაოები მოიცავს თანამედროვე მანქანათმცოდნეობას და მანქანათმშენეალობის ყველა ძირითად პრობლემას — მანქანებში რხევითი პროცესების კვლევას და მართვას, ვიბრაციულ ტექნიკას, მანქანათა აკუსტიკას, ვიბრაციისა და ხმაურისაგან ადამიან-ოპერატორის დაცვას. ავტორმა პირადად მიიღო პირველხარისხოვანი შედეგები ამ დარგების თეორიასა და პრაქტიკაში, რომლებიც გამოირჩევა პრინციპული სიახლით, ორიგინალობით და ნინ უსწრებს მსოფლიო მიღწევებს ამ დარგში. იგი 190 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 12 მონოგრაფიის და 6 სახელმძღვანელოს ავტორია, აქვს 25 საავტორო მოწმობა. საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს მისი სტატიები საკავშირო და საზღვარგარეთულ პერიოდულ გამოცემებში. ბატონი მიხეილი საკავშირო ჟურნალების „მანქანათა დინამიკა“ და „ვიბროტექნიკა“ რედკოლეგიების წევრია.

მუდამ საინტერესო და მრავალისმმცველია მისი მონაწილეობა საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. იგი ხელმძღვანელობს ამერიკა-კავკასიის სემინარს რხევების გამოყენებით ოორიაში და დიხამიკაში, ამავე დროს ვიბრაციული ტექნიკისა და მანქანათა დინამიკის საკავშირო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს. ეს კონფერენციები, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის ბაზაზე უკვე მეოთხედ მოენყო.

• • •

ბატონი მიხეილი გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის და მართვის პროცესების განყოფილებას უდგას სათავეში.

— ჩვენი უპირველესი ამოცანაა ნავნიოთ წინ ფუნდამენტურ-თეორიული კვლევა, რომლის საფუძველზეც მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგები მიიღება. ვინრო პრაქტიკული კვლევების მომხრე არა ვარ, რადგან, თუ არ განვავითარებთ ფუნდამენტურ პრობლემებს, ვინრო სამსახურად გადავიცევით.

სამშენებლო მექანიკის, სამთო მექანიკის, მანქანათა მექანიკის და მართვის სისტემების ინსტიტუტების, (რომლებიც მათთან შემოდის) პრობლემატიკაში განყოფილების თანამშრომლები ღრმად არიან ჩახედული.

ჩვენი პრობლემების დამუშავებისას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მათემატიკურ მოდელირებას და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას.

აკადემიკოს-მდივნობა მეტად საპასუხისმგებლო და საჭირო საქმეა, მაგრამ ეს მაინც საორგანიზაციო-სამეცნიერო უფროა, დიდი ნებისყოფა რომ არა, თუ გნებავთ სიჯიუტეც, თუნდაც კვლევითი სამუშაოებისათვის, ძალიან შცირე დრო დამრჩებოდა. მჭიდრო კავშირი მაქვს მანქანათა მექანიკის ინსტიტუტთან, ვარ მანქანათა დინამიკისა და სიმტკიცის განყოფილების სამეცნიერო ხელმძღვანელი. ძალიან ნიჭიერი ასპირანტები მყავს, დიდ სიამოვნებას მანჭავს მათთან ურთიერთობა.

ბატონმა მიხეილმა მოამზადა მეცნიერებათა 23 კანდიდატი და 4 დოქტორი.

ლიტვაში არის არაწრფივი მექანიკის წამყვანი საკავშირო სკოლა, მისი ერთ-ერთი ორგანიზატორია ბატონი მიხეილი. ყოველთვის დიდი ინტერესით ელიან ლიტვაში მის გამოჩენას, რადგან მისი მოხსენებები ყოველთვის საინტერესო და ბევრის მომცემია. ბატონ მიხეილს მუდამ მიჰყავს იქ თავისი მოწაფეები.

ეს აუცილებელია, — ამბობს იგი. — აბა, სად უნდა წავიდნენ მეცნიერები, თუ არა იქ, სადაც მეცნიერულ აზრთა შეხლა-შემოხლაა, სადაც იწვრთნებიან ახალგაზრდები.

• • •

ბატონ მიხეილის პორტრეტს ბევრი რამ დააკლდება, თუ მის მყუდრო ოჯახსაც არ გავაცნობთ მკითხველს. მიხეილის მეუღლე, ქალბატონი ნათელა გვარამაძე ქიმიკოსია, ქალიშვილი მარიამი — ინჟინერი-მეტალურგი.

ბათუმში დაბადებულს და გაზრდილს ძალიან უყვარს ზღვა. როგორც კი დროს იპოვის, მაშინვე მიაშურები ხდა და დიდხანს ზის მის სანაპიროზე ფიქრში წასული. განსაკუთრებით შემოდგომა უყვარს, და კიდევ — თავისიანების საფლავის მონახულება.

— ერთი მიბრძანეთ, კარგად იცნობთ საკუთარ მოდგმას? — მეკითხება და პასუხს არ უცდის. — რას გადავცემთ ჩვენს შვილებს? სახლს? ავეჯს? სახლი დაინგრევა, ავეჯი გაცვდება, მაშ, რას ვუტოვებთ? — მხოლოდ ხსოვნას, სულიერ სიმდიდრეს.

რა ვიცი, ბევრ რამეზე ვფიქრობ... მოგეხსენებათ, ხალხთა ურთიერთპატივისცემა ძალზე ნნიშვნელოვანი საქმეა, ჩვენ კი ზოგჯერ რთულ პრობლემებს ვამარტივებთ. ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი ეროვნული უპატივცემულობის გამოვლენის თვალსაზრისითაც.

დიდი ილიასი არ იყოს, „სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმახე უცილო, იმაზე სანატრელი, იმაზე წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს? სხვა რის მეოხედ უნდა იყოს მწიგნობრობა საერთოდ, თუ არაადამიანის უფლების შემნატრედ, მნედ და მოსარჩლედ?“

ხალხის პატივისცემა განსაკუთრებული ხვედრია და ამიტომ მის შესანარჩუნებლად მუდმივი ძალისხმევაა საჭირო.

სამშობლო კი ისეთი ფასდაუდებელი საუნჯეა, რომ თუ საჭიროა ადამიანმა თავიც უნდა დასდოს მისთვის. ეს უეჭველად დიდი გმირობაა, მაგრამ ისიც დიდი ვაჟკაცობაა, იცოცხლო და ილვაწო სამშობლოსათვის, შენი სიცოცხლით ადიდო მისი სახელი.



მარადი ანასაშვილი.

ულუოეთი

საკვლევი ეროვნული 15 ივნისი

საფლეარგარეთის გამოცდილება

ერთად ვაშენოთ მოჩვენა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბონში ერთობლივ განცხადებაზე ხელმოწერა, მოლაპარაკება ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს შორის, საუბარი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიან ადამიანებთან, საბჭოთა სტუდრის შეხვედრები დასავლეთ გერმანიის დედაქალაქის მცხოვრებლებთან — ცნობებმა ამის შესახებ წამყვანი მსოფლიო გამოცემების პირველი ფურცლებიდან განდევნა სხვა თემატიკა.

ბონი. ტელეპროგრამისათვის მიცემულ ინტერვიუში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა **ჰ. კოლმა** ხელმოწერილ ერთობლივ განცხადებას „სენსაციური“ უწოდა. როგორც მან თქვა, ორივე საზელმწიფო აპირებს გამოიტანოს დასკვნები ისტორიის გაკვეთილებიდან, შეეცადოს დასაბამი მისცეს ახალ ურთიერთობას, უწინარეს ყოვლისა, განიარაღების, ვაჭრობის, ახალგაზრდული და სპორტული გაცვლის დარგში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა **რ. ფონ ვაიცზეკერმა** დასავლეთ გერმანიის მეორე ტელეპროგრამისათვის მიცემულ ინტერვიუში უარყო მტკიცება იმის შესახებ, რომ ბონში საბჭოთა ხელმძღვანელისათვის მოწყობილი აღფრთოვანებული მიღება დასავლელი მოკავშირეების ნდობას დაუკარგავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკას. მ. ს. გორბაჩოვის პოპულარობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში, ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა, იისნება იმით, რომ იგი დასავლეთგერმანელებს მიაჩნიათ პოლიტიკოსად, რომელიც სახავს მშვიდობიანი ცხოვრების პერსპექტივებს.

რადიოსადგურ რიასის პროგრამით გამოსვლისას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ჰ. დ. გენშერმა** ერთობლივ განცხადებას უწოდა მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი ორი სახელმწიფოს ურთიერთობის განვითარებაში, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი „სცილდება ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს“. იგი შეიცავს, თქვა მან, ორი ქვეყნის წარმოდგენას ევროპის მომავალი განვითარების, კონტინენტზე მომავალი მშვიდობიანი წესრიგის სტრუქტურული ელემენტების შექმნის შესახებ. ეს ცხადყოფს, რომ სსრ კავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ფიქრობენ არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის განვითარებაზე, არამედ ევროპის მომავალზე, იმაზე, რომ პასუხი უნდა გაეცეს გამოწვევას, რომლის წინაშეც დგას კაცობრიობა. ხელმოწერილი დოკუმენტი, თქვა შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა, ერთდროულად მეტყველებს იმაზე, რომ სსრ კავშირის ხელმძღვანელობა და ფედერაციული მთავრობა დარწმუნებული არიან, თუ რაოდენ ცენტრალური მნიშვნელობა აქვს მათს ურთიერთობას საერთოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის კარგი მდგომარეობა დადებით გავლენას ახდენს მთელ ევროპაზე. ამავე დროს ეჭვგარეშეა, რომ სსრ კავშირი ეკუთვნის ვარშავის ხელშეკრულებას და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — ნატოს, დასაკვნა მინისტრმა.

ვაშინგტონი. განმარტა რა მ. ს. გორბაჩოვის მიერ სადილზე წარმოთქმული სიტყვა, რომელიც მოეწყო მის პატივსაცემად ბონის დარბაზობთა სახლში „რედუტში“, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა **მ. ტატუალერმა** მორიგი ბრიფინგის დროს წაიკითხა განცხადება, რომელიც გვაუწყებს:

„ჩვენ ფრთებს გვასხამს პრეზიდენტ გორბაჩოვის პოზიტიური პასუხი ნატოს მოწოდებაზე, რომ სწრაფად მივაღწიოთ შეთანხმებას ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ეს პოზიტიური რეაქცია ხორცს შეისხამს კონსტრუქციული მიდგომით, რომელიც საჭიროა, თუ საბჭოთა მხარე მზად არის წვლილი შეიტანოს პრეზიდენტ ჯ. ბუშის წინადადებაში დასახული ვადების მიღწევაში“.

ამავე დროს, იმ კითხვაზე პასუხად, თუ საბელმწიფო დეპარტამენტის რა რეაქცია გაპოიწვია მ. ს. გორბაჩოვის მოწოდებამ გამართონ მოლაპარაკება ტაქტიკური ბირთვული იარაღის შესახებ, ბრიფინგზე ითქვა: „იგი არ განსხვავდება პოზიციისაგან, რომელიც დავიკავეთ ბრიუსელში... ჩვენი პოზიცია ამ საკითხში არ შეცვლილა“.

ლონდონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მცხოვრებლებმა საბჭოთა ხელმძღვანელს ყველაზე გულთბილი მიღება მოუწყვეს დასავლეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით — ასეთი სიტყვებით დაიწყო ახალი ამბების პროგრამის გამოშვება **ბი-ბი-სი ტელეკომპანიის** წამყვანმა. აღნიშნა რა, რომ „ადამიანები ყველგან მოწონების შეძახილებით მიესალმნენ გორბაჩოვს“, ტელერეპორტიორის ავტორმა შენიშნა: „სწორედ ეს ამინებდათ ბონის ისეთ მოკავშირეებს, როგორიც არის ვაშინგტონი და ლონდონი. დასავლეთგერმანელებს, რომლებიც ორმოც წელზე მეტია ცხოვრობენ „ცივი ომის“ წინა ხაზზე, გორბაჩოვი აძლევს ასეთი სიტუაციის შეცვლის შანსს, და მათ არ სურთ მისი ხელიდან გაშვება“.

როგორც **„დელი ტელეგრაფი“** წერს, ერთობლივი განცხადება ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში მას შემდეგ, რაც ვ. ბრანდტმა გამოაცხადა „აღმოსავლეთის პოლიტიკა“. **„გარდიანის“** თანახმად, ეს დოკუმენტი საფუძველს უყრის XXI საუკუნეში ორი ქვეყნის ურთიერთობას“.

ბერლინი. სათაურით „პოლიტიკა მოითხოვს რეალობის გრძნობას“ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო, გაზეთი **„ნეიეს დეიჩლანდი“** თავის კომენტარში წერს: „მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი კონსტრუქციულ ნაბიჯს წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში. იგი შეესაბამება სსრ კავშირისა და სხვა სახელმწიფოების მისწრაფებას მოახდინონ საერთოდ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზაცია, მშვიდობიანად თანაიარსებონ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოებმა და ეკუთვნოდნენ სხვადასხვა კავშირებს, სასარგებლო იყოს თანამშრომლობა „ევროპულ სახლში“, განმტკიცდეს მშვიდობა. ვიზიტი ცხადყოფს, რომ ჩვენს კონტინენტზე სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის პროგრესის საფუძველს წარმოადგენს რეალისტური მიდგომა ჩვენი დროის პრობლემებისადმი“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ცენტრალური გაზეთი ბეჭდავს ბონში ხელმოწერილ ერთობლივ განცხადებას, იუწყებიან, რომ ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მთელ რიგ შეთანხმებებს.

პრაღა. მ. ს. გორბაჩოვისა და ჰ. კოლის მიერ ხელმოწერილი ერთობლივი განცხადება, მიაჩნია **„რუდე პრავოს“**, წარმოადგენს „საერთო ევროპული სახლის“ მშენებლობის გეგმას“, რომლის კარ-ფანჯრები ღია იქნება. ამ სახლის საძირკველს წარმოადგენს საამედო და თანაბარი უშიშროება, რომელიც შეიძლება უზრუნველყოს მხოლოდ ორმხრივმა თანხმობამ, ნდობამ და ფაროთა თანამშრომლობამ, კონკრეტულმა ნაბიჯებმა განიარაღების დარგში, წერს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო. (საკრესი).

◆ საბერძნეთი

არჩევნების წინ

ათენი. **დადგა მემარცხენე ძალების ჟამი — ასეთი სიტყვები გაისმის მძრავრი დინამიკებიდან სინტაგმის მოედანზე, სადაც ათეათასობით კაცი შეკრებილა.** აქ, საბერძნეთის დედაქალაქის ცენტრში გაიმართა მემარცხენე და პროგრესული ძალების კოალიციის ცენტრალური მიტინგი, რომელიც მოეწყო მომავალ 18 ივნისის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით.

მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კოალიციის პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხარილაოს ფლორაკისმა. მან განაცხადა, რომ მომავალ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის მერმისისათვის და დაწვრილებით ჩამოაყალიბა პროგრამა, რომელსაც საბერძნეთის მემარცხენე პარტიები აყენებენ. ხ. ფლორაკისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოალიცია არის ქვეყნის ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია გამოიყვანოს იგი კრიზისიდან.

◆ იაპონია

გამოკითხვის შედეგები

ტოკიო. **გაზეთ „მაინიჩის“ მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაწილეთა მხოლოდ 22 პროცენტმა დაუჭირა მხარი პრემიერ-მინისტრის სოსუკე უნოს მთავრობას.** გამოკითხულთა 40 პროცენტმა განაცხადა, რომ მხარს არ უჭერს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მინისტრთა ახლანდელ კაბინეტს.

მმართველ პარტიას მხარი დაუჭირა გამოკითხვის მონაწილეთა 30 პროცენტმა. ოპოზიციურ პარტიებს კი — საერთო ანგარიშით, გაზეთ „მაინიჩის“ მიერ გამოკითხულთა 39 პროცენტმა.

● აშშ

ლიდერი შეიცვალა

ვაშინგტონი. **ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატთა ფრაქციამ ახალი ხელმძღვანელობა აირჩია.** ფარული კენჭისყრის დროს წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერის პოსტზე აირჩიეს რიჩარდ გეჰპარდტი. მან მოაგროვა 181 ხმა, მისმა მეტოქემ კონგრესმენმა ედ ჯენკინსმა — 76. 48 წლის გეჰპარდტმა, რომელიც შვიდჯერ არის არჩეული კონგრესში მისურის შტატისაგან და შარშან აცხადებდა პრეტენზიას დემოკრატიული პარტიისაგან პრეზიდენტის პოსტზე, დაიკავა მნიშვნელობით მეორე პოსტი დემოკრატთა ფრაქციაში წარმომადგენელთა პალატაში. ეს პოსტი ვაკანტური გახდა მას შემდეგ, რაც თომას ფოლი, რომელსაც იგი ეკავა, ავიდა ზედა საფეხურზე დემოკრატთა იერარქიაში — გახდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი.

◆ სსრ კავშირი-თურქეთი

საქართველოს მონაწილეობით

სტამბოლი. **ტურიზმის დარგში საბჭოთა კავშირ-თურქეთის თანამშრომლობის განვითარებისა და გაფართოების პრობლემებს მიეძღვნა აქ დამთავრებული სემინარი. საბჭოთა კავშირის მხრივ მასში მონაწილეობდნენ რუხეთის სფს რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის წარმომადგენლები.**

სემინარის დროს აღინიშნა, რომ საჭიროა გამოიყენონ ორივე ქვეყნის მდიდარი პოტენციური შესაძლებლობანი ამ დარგში. ითქვა, რომ უნდა ეძებონ თანამშრომლობის ისეთი არატრადიციული ფორმები, როგორიცაა ტურისტული ჭგუფების გაცვლა უვალუტო საფუძველზე, ერთობლივი ფირმების შექმნა ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე, სასტუმროების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების მშენებლობა.

სემინარის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირსა და თურქეთს შორის ტურისტული ბიზნესის განვითარება ხელს შეუწყობს კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას.

ტელეტაიპის ლენტიდან

◎ ნიუ-იორკი. **ამერიკელმა მეცნიერებმა გამოაცხადეს, რომ შეადგენენ მომდევნო 15 წლის განმავლობაში ადამიანის გენეტიკური სტრუქტურის სრულ რუკას. ნიუ-მეიჯენში (კონნეტიკუტის შტატი) მომდინარე მეცნიერ-გენეტიკოსთა კონფერენციაზე გამოვიდა იელის უნივერსიტეტის ბიოლოგიის პროფესორი ფრენკ რუდლი, რომელმაც ილაპარაკა ახალ საამბილიარდიან პროექტზე, რომელიც შეერთებულ შტატებში ხორციელდება.**

◎ მეხიკო. **4 ათას 160 კილომეტრი წმინდა კოკაინი — მექსიკის ისტორიაში ნარკოტიკის უდიდესი პარტია კონფისკებული მექსიკის პოლიციის თანამშრომელთა მიერ. ნარკოტიკები აღმოაჩინეს რამდენიმე საიდუმლო საცავში ამერიკის საზღვრის მახლობლად.**

ეკოლოგია

მგე — ენერგიის ალტერნატიული წყარო

გფრ. **ამ ქვეყანაში ავტომანქანები ყოველწლიურად 40 მილიარდ ლიტრამდე საწვავს წვავენ, რაც გამონაბოლქვი გაზებით მაერის მეტისმეტად გაჭუჭყიანებას იწვევს. ამიტომ ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა ამ ნეგატიური შედეგის შემცირება.**

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კვლევა მზის ენერგიის გამოყენების სფეროში. უკვე შექმნილია მსუბუქი ავტომანქანის სამი და კატარღის ერთი მოდელი, რომლებიც „მზით მუშაობენ“. ეს სიახლენი არამც თუ პრაქტიკულად არ აჭუჭყიანებენ გარემოს, არამედ საგრძნობლად იაფი ჯდება მათი ექსპლოატაციაც. მართალია, ასეთ მანქანებს აქვთ ერთი ნაკლიც: მათი მუშაობა დამოკიდებულია ამინდზე, მცირეა აკუმულიატორული ბატარეების ტევადობა. სამაგიეროდ მცირე მანძილებზე, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში, მოძრაობისათვის ასეთი ავტომანქანები შეუცვლელია.

სურათზე: **ავტომშენებლობის ერთ-ერთი სიახლე, რომელიც ამას წინათ ბონში ჟურნალისტებს წარუდგინეს.**

საკრესის ფოტო.

კომუნისტი

კულტურის ოსტატები — რესპუბლიკის მშრომელებს

საქართველოს აღიარებული მხატვრული კოლექტივების — თეატრალური დასების, შემსრულებელი სოლისტების, ანსამბლური და ქორეოგრაფიული საესტრადო ანსამბლების ხელოვნებას შეხვდებიან ამ ზაფხულს რესპუბლიკის სულ სხვადასხვა რაიონის მცხოვრებლები. და თუმცა აპრილის ტრაგიკულმა ამბებმა თავიანთ სამწუხარო დაღი დასვა დედაქალაქის კოლექტივების შემოქმედებითს ცხოვრებას, მიუხედავად ამისა, მათს საგასტროლო რუკაზე უამრავი შეხვედრაა ქალაქელ და სოფლელ მაყურებლებთან. ზაფხულის აფიშები იტყობინებიან, რომ გაიმართება საუკეთესო სპექტაკლები, მუსიკალური პრემიერები, საავტორო საღამოები...

საზღვარგარეთ ხანგრძლივი ტურნეს შემდეგ რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სახელგანთქმული დასი ივნისის დამლევს შეხვდება ქუთაისელ და ზესტაფონელ მაყურებლებს. მარჯანიშვილის თეატრი თავის საუკეთესო დადგმებს უჩვენებს ქართულ-კახეთის მშრომელებს. ამ დღეებში საგასტროლოდ გაემგზავრება ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრი: ივნისის ბოლო ორი კვირის განმავლობაში იგი რუსთაველთა, ზოლო ივლისის პირველ დეკადაში — გორელებისა და ცხინვალელების სტუმარი იქნება.

მრავალფეროვანია საქართველოს ავტონომიური რაიონული თეატრების საგასტროლო ზაფხულის კულტურული პროგრამა. რუსთავის დრამატული თეატრი ეწვევა ჭიათურას, ახალციხეს, ბორჯომს

აქტუალური ინტერვიუ

ცხოვრების შუაგულში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უკვე გაატარა რეგისტრაციაში და საბოლოოდ ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება. ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა საზოგადოების თავმჯდომარეს, მწერალ გურამ ფანიჯიძეს.

— ბატონო გურამ, იქნებ მოუთხროთ ჩვენს მკითხველებს თქვენი საზოგადოების საქმიანობაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე.

— იმის მიუხედავად, რომ სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო რეგისტრირებული და არ ჰქონდა ბანკში ანგარიშის ნომერი, იგი მაინც განაგრძობდა ენერგიულ საქმიანობას. ყოველ კვირას საზოგადოების ორასამდე წევრი მუშაობს ნარიყალის — დიდი ციხისა და ეკლესიის აღსადგენად. ალბათ, შეამჩნევდით, როგორ გამოჩნდა და გამოიკვეთა ციხის კედელი, გაყვანილ იქნა 200 მეტრის სიგრძის ბეტონის გზა, ციხის ტერიტორიიდან გატანილ იქნა დაახლოებით 100 ათასი ტონა მიწა. ამ მიწაში ჩამარხული წმინდა ნიკოლოზის ტაძრის ნანგრევები უკვე წელში წამოიმართა. ვფიქრობთ, საშემოდგომოდ თბილისობისათვის ტაძარი მივიყვანოთ კონსერვაციის დონემდე, მთლიანად მოვაპირკეთოთ გადასახედი მოედანი, სადაც უკვე შესაძლებელი იქნება ტურისტების ორგანიზებული მიღება. ჩემი აზრით, და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, სწორედ ნარიყალის ციხიდან მოჩანს ყველაზე ლამაზად საქართველოს დედაქალაქი.

ამ პერიოდში საზოგადოების საქმიანობიდან მინდა გამოვყო მხოლოდ ერთი დიდი ღონისძიება. აღმაშენებლის საზოგადოებამ აჭარაში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას ჩაუტანა 170 ათასი მანეთის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კვების პროდუქტები. ათი ტრანელერი თვითონ დატვირთეს დავით აღმაშენებლის საზოგადოების წევრებმა და მიღიციის მანქანების თანხლებით ჩაიყვანეს სტიქიისაგან დაზარალებულ რაიონებში. ამასთან ერთად, საზოგადოების რამდენიმე წევრი ათი დღის განმავლობაში, ფიზიკურად ეხმარებოდა დაზარალებულ რაიონებს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ღონისძიების სულისჩამდგმელი იყო ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი რომან გვენცაძე.

— როგორია თქვენი საზოგადოების სტრუქტურა?

— რატომ ჩვენი? ვფიქრობ, იგი თქვენი საზოგადოებაც გახდება. დავით აღმაშენებლის საზოგადოებაში შემოსვლა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელს. არა აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა იგი რომელიმე სხვა საზოგადოების წევრი. დღეიდან უკვე ყველა ქალაქში და წარმოებაში შეიძლება ჩამოყალიბდეს საზოგადოების ფილიალები, პირველადი ორგანიზაციები, საწევრო თანხას ისინი შეიტანენ ბანკში შესაბამის ანგარიშზე. ხელმძღვანელები კი გამოცხადდებიან ჩვენთან, საზოგადოების პრეზიდიუმში, გაწევრიანებულთა სიები და მიიღებენ სათანადო მოწმობას.

სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოებას ჰყავს პრეზიდიუმი და გამგეობა. პრეზიდიუმში არჩეულნი არიან ნ. ჩერქეზიშვილი, ირ. ანდრიაძე, ა. კალანდაძე, მ. მაჭავარიანი, მ. ლებანიძე, ლ. სანიკიძე, ჯ. ღვინჯილია, რ. მეტრეველი, ა. გოგელია, რ. გვენცაძე, ბ. გულუა, მ. ბერძენიშვილი, ნ. მგალობლიშვილი, ვლ. პატეიშვილი, ა. ბურჯანაძე, ო. ტყეშელაშვილი და სხვები.

ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად მარტივი, მოქნილი და შემქმედი იყოს ჩვენი საზოგადოება. სულ იმოქმედებს 5 სექცია. ესენია: საქართველოს კულტურულ ძეგლთა აღდგენისა და მოვლა-პატრონობის, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და ისტორიულ-საგამომცემლო სექციები. მეხუთე, თუ შეიძლება ასე ითქვას, საორგანიზაციო სექცია იქნება. მას დაევალება სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება.

— მაგალითად?

— მაგალითად, დავით აღმაშენებლის საზოგადოება და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ახალგაზრდა ოჯახებს აუშენებენ საცხოვრებელ სახლებს საქართველოს მთიან რაიონებში, მარნეულის, ბოლნისის, ბოგდანოვკისა და სამხრეთ საქართველოს სოფლებში. რასაკვირველია, საზოგადოება პირველ რიგში იბრძოლებს მათთვის საკარმიდამო მიწების გამოყოფისათვის, შემდეგ კი წელიწადში განხოციელდება ოთი ძალიონი მანეთის სამუშაოები (ერთი სახლი ჯდება 40 ათას მანეთამდე). მარტო აპარიდან სხვა რაიონებში ჩასახლებული ახალგაზრდა ოჯახებისათვის გამოყოფილია 800 ათასი მანეთი.

ასევე ერთობლივად არქიტექტორთა კავშირი და ჩვენი სახოგადოება აწყობს სიმპოზიუმს თემაზე, „თბილისი და მისი განვითარების პერსპექტივები". შემდგომი სიმპოზიუმი კი მიეძღვნება სოფლის არქიტექტურას. საშემოდგომოდ ჩავატარებთ კიდევ ერთ სიმპოზიუმს. მოგეხსენებთ, მთელი საქართველო მოფენილია საეკლესიო ღირებულების ქანდაკებებით, დროა, სერიოზული ყურადღება მიექცეს ამ უგვიმენო, უბადრუკი ქანდაკებებისა თუ სკულპტურული კომპოზიციების აღების საქმეს. თან ისიც გვინდა განვაცხადოთ, რომ ყოველი ახალი ქანდაკებისა თუ რაიმე სკულპტურული კომპოზიციის დადგმის საკითხი უნდა განხილოს ფართო საზოგადოებრიობამ.

კიდევ ერთ დიდ და მამულიშვილურ ეროთობლივ ღონისძიებაზე მინდა გესაუბროთ. ამ რამდენიმე დღის წინ შეიქმნა რესპუბლიკაში მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დაცვის შემოწმების დროებითი რესპუბლიკური კომისია, რომლის თავმჯდომარეც მე გახლავართ. აგრომრეწვითან შეთანხმებით, ეს კომისია უშუალოდ დავით აღმაშენებლის საზოგადოებასთან ერთად შეისწავლის საქართველოში მიწათდატაცებისა და მიწათმოწყობის საქმეებს. ამხელს დამნაშავეებს, სათანადო ორგანოების წინაშე დააყენებს საკითხს შესაბამისი სანქციების მისაღებად. კომისიის წევრები არიან მუხრან მაჭავარიანი, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, ლევან სანიკიძე, რევაზ ჯაფარიძე, რევაზ მიშველაძე, უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ზოოვეტინსტიტუტის ლექტორები, აგრეთვე, ჩვენი ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

გაკეთდა პირველი დიდი საქმე, კომისიის რამდენიმე წარმომადგენელი ვიყავით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ჭითანავასთან. მან უმალვე გადაგვიწყვიტა ორი თხოვნა: შეიქმნა წერაქვისა და სოხოს სასოფლო საბჭო და მეორე, მარნეულის რაიონში მცხოვრებ 133 ქართველ ოჯახს გამოეყო საკარმიდამო, ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ბოლო ოცი წლის მანძილზე რაიონში მცხოვრები არცერთი ქართველი ოჯახი არ გაფართოებულა. აღმოჩნდა, რომ მარნეულის რაიონში კიდევ 200 ქართველი ოჯახია გასაფართოებელი. ჩვენი საზოგადოების წინადადებით, რაც უმალვე გაითვალისწინა მინისტრთა საბჭომ, გამოყოფილი ოჯახები დასახლდებიან ცალკე, თავისუფალ ტერიტორიაზე და შექმნიან ახალ სოფელ თავისი საბჭოთი. ამ დღეებში კომისიის წევრები ვესტუმრეთ მარნეულის რაიონს, შევხვდით იქ მცხოვრებ ქართველებს, მივულოცეთ ახალი სამოსახლოების მიღება. შევიტყვეთ, რომ სოფელ წერეთელში შექმნილია ქართული თეატრი. ახალგაზრდა მსახიობებს და რეჟისორს (სულ თერთმეტნი არიან) დიდი სურვილი აქვთ იქვე დასახლდნენ და იცხოვრონ. რასაკვირველია, ჩვენ კვლავ შევალთ წინადადებით ორასი ახალი სამოსახლოს გამოყოფის შესახებ და როცა ამ დადგენილებას მივიღებთ, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად შევეცდებით თერთმეტივე ახალგაზრდა მსახიობს ჩვენვე ავუშენოთ სახლები.

როგორც მარნეულის აღმასკომის თავმჯდომარემ გვითხრა, რაიონში სჭირდებათ ქართული ენის 40 მასწავლებელი (სასურველია, მათთვის აიგოს 40-ბინიანი სახლი). ამის თაობაზე არსებობს მინისტრთა საბჭოს სათანადო ბრძანება. მართვა გ. ენუქიძისადმი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ განათლების სამინისტრო დაებითად გადაწყვეტს ამ საკითხს.

ყვარლის რაიონში ჩამოსახლებული ლეკებიდან ოთხასამდე ოჯახმა გადაწყვიტა უკან, სამშობლოში დაბრუნება. რატომღაც მათმა მთავრობამ უარი განაცხადა თანამემამულეების მიღებაზე. ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. მგელაძე, რ. მიშველაძე და მე გადავფრინდებით დაღესტანში ადგილობრივ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

დავით აღმაშენებლის საზოგადოება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შექმნის დავით აღმაშენებლის მუზეუმს, მუზეუმის შესაქმნელ ხარჯებს მთლიანად ჩვენ გავიღებთ, აკადემია კი იზრუნებს სათანადო ექსპონატებისათვის. ამ საქმეს და, საერთოდ, ისტორიულ-საგამომცემლო სექციას ხელმძღვანელობს როინ მეტრეველი.

ასევე, კულტურის სამინისტროსთან ერთად უნდა შეიქმნას ქართველ ებრაელთა მუზეუმი. აქ ფუნქციები ასე განაწილდება: კულტურის სამინისტრო ძველი სინაგოგის შენობიდან გაიყვანს კულტსასწავლებელს, შემდგომ შენობის სარესტავრაციოდ და მუზეუმის შესაქმნელად ჩვენ ჩავატარებთ სამუშაოებს და გავიღებთ სათანადო ხარჯებს.

— თქვენ მაინც საქველმოქმედო საზოგადოება გქვიათ. რას აპირებთ ამ მიმართულებით?

— პირველ რიგში, რასაკვირველია, დავეხმარებით მრავალშვილიან და გაჭირვებულ ოჯახებს. დავეხმარებით არა სიმბოლურად, არამედ სოლიდური თანხით. სამშენებლო და არქიტექტურის ფაკულტეტის მოწინავე (აგრეთვე ხელმოკლე) სტუდენტებს დავუნიშნავთ სტიპენდიებს. გვექნება ყოველწლიური ორი პრემია — „წლის საუკეთესო არქიტექტორი", „წლის საუკეთესო მშენებელი". ამ თვეში საქართველოს საისტორიო საზოგადოების, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, პედაგოგიური ინსტიტუტის და სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ახალგაზრდული ექსპედიცია მიემგზავრება ასპინძის ხევის კომპლექსურად გამოკვლევისათვის. ექსპედიციას მთლიანად ჩვენ ვფინანსებთ (10 000 მანეთი).

გავაგრძელებთ ბრძოლას სპორტული ქალაქისათვის, სადაც გაერთიანდება ჭადრაკის სასახლე, კიროვის სახ. პარკში მოქმედი კალათბურთის და ჩოგბურთის მოედნები, ალპური კლუბი, სანაპიროზე განლაგებული ტანვარჯიშის სასახლე და საცურაო კომპლექსი. მათ დაემატება აბრეშუმის ფაბრიკის შენობა, სადაც ორი ათეული დიდი და პატარა დარბაზი და კაბინეტი მოეწყობა.

გეგმა სხვაც ბევრი გვაქვს, მაგრამ მე მხოლოდ ის გავაცანით, რაც რეალურია და შესაბამისად უმოკლეს დროში გადასაწყვეტი.

— სად არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თქვენი „შტაბ-ბინა"?

— ჯერჯერობით მწერალთა კავშირში. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მთელი ჩვენი საზოგადოების სახელით მადლობა მოვახსენო ქალაქის საბჭოს აღმასკომს, და, პირადად, მის თავმჯდომარეს იფაკელი ანდრიაძეს, რომ გამოგვიყო შესანიშნავი შენობა კომკავშირის ხელვანში. წლის ბოლომდე ამ შენობას მოვაწესრიგებთ და მართლაც რომ დიდებული „შტაბ-ბინა" გვექნება.

ახლა კი, ნება მიბოძეთ, საზოგადოებას ვაუწყოთ ბანკში ჩვენი ანგარიშის ნომერი: **000700480 სსრ კავშირის ბინსოცდაზღვის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო და 70000008 სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი.**

რეპორტაჟი მშენებლობიდან

აგებენ ავსტრიელი კირითხურონი

ჯოფორატულმა, ვერცლისფერმა „მიცუბიშიმ", რომელსაც სახარგულზე დიდი ასოებით ინგლისურად „თბილისი" ეწერა, შაუმიანის გამზირიდან თელავის ქუჩისკენ აუხვია, ასიოდე მეტრი გაიარა და ერთგან, ალაყაფს გასცდა თუ არა, სამშენებლო მოედანთან ჩამწკრივებულ თავის იაპონურ თანამოძმეებს ამოუდგა მხარში.

აი, აქ, ამ მოედანზე აშენდება სასტუმრო—სასაძინებლად გამზადებული ქვაბული მიგვითითა „მეტეხის" გენერალურმა დირექტორმა თენგიზ სიხარულიძემ, როცა მანქანიდან გადმოვედით. ეს უცხოური ავტომანქანები კი ავსტრიულ ფირმა „აბვ-ვენას" წარმომადგენლებს ეკუთვნითო, დაამატა.

„მეტეხის" შესახებ ადრეც გვსმენოდა, მაგრამ ადგილზე უშუალოდ ნანახმა შთაბეჭდილებები ისე გაგვიძლიერა, რომ გენერალურ დირექტორს ვთხოვეთ, რაც შეიძლება დაწვრილებით მოეთხრო ამ ორგანიზაციის შექმნისა და საქმიანობაზე.

იგი სსრ კავშირ-ავსტრიის ერთობლიეი საწარმოა საქართველოში, — გვითხრა მან, — ურთიერთთანამშრომლობის ეს იდეა 1988 წლის დეკემბერში განხორციელდა. მას სახელად „მეტეხი" ეწოდა. მისი მიზანია საქართველოს დედაქალაქში ტურიზმის განვითარება. სიტყვას მალე საქმე მოჰყვა. უკვე ორი თვის შემდეგ, ანუ წლეულს თებერვალში, ცნობილ ავსტრიულ ფირმა „აბვ-ვენასთან" დავდეთ კონტრაქტი: გადაწყდა თბილისში ცხრასართულიანი, 720-ადგილიანი ფეშენებელური სასტუმროს აგება. უცხოელ მშენებლებთან ერთად აქ მათი ქართველი კოლეგებიც იშრომებენ. კერძოდ, ტრესტი „ინკმშენი" ხელშეკრულების თანახმად ვერტიკალური დაგეგმარების, გარეკომუნიკაციებისა და კეთილმოწყობის სამუშაოებს შეასრულებს. ამჟამად თბილისში ფირმის ასამდე მუშამოსამსახურე და ინჟინერია ჩამოსული. ავსტრიელთა გარდა აქ არიან პოლონელები, შვედები, დასავლეთგერმანელი სპეციალისტები. ისინი „აბვ-ვენამ" შესაბამისი ქვეყნების სხვადასხვა ფირმისაგან დაიქირავა. დღეისათვის მიმდინარეობს მშენებლობის პირველი — მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც მალე დასრულდება და დაიწყება უშუალოდ სასტუმროს აგება.

სიმართლე გითხრათ, უცხოელთა სამუშაო განწყობილებამ, შრომის რიტმმა და თვით მუშათა აღკაზმულობამ ერთობ მოგვხიბლა. აქ ისეთი ფუსფუსია გაჩაღებული, რომ ძალაუნებურად ბლოკნოტისა და კალმის გვერდზე გადადება და მათთან შეამხანაგება მოგინდება. მუქ-ლურჯ კომბინეზონებსა და სპეციალურ ხელთათმანებში გამოწყობილი „აბვ-ვენას" წარმომადგენლები შეთანხმებულად, მიზანდასახულად მოქმედებენ, არც ერთი ზედმეტი ნაბიჯი, გადაძახილი... აქ ყველამ კარგად იცის თავისი საკუთებელი და რაგინდ დადარაჯებული თვალით უცქეროთ, ზონინით მოარულსა და უქმად გაჩერებულს ვერავის შეამჩნევთ.

— ვერც ნახავთ, — გვითხრა „მეტეხის" ინჟინერ-მშენებელმა ლევან გაჩეჩილაძემ, — აი, იმ კოკაკურა ამწეს, მაგალითად, ორი კაცი აწყობს, ყოველგვარი დაბაკოებისა და აურზაურის გარეშე. ვდგავართ და გაოცებული შევცქერით, როგორ თვალსა და ხელს უფა „აცოცხლებენ" რკინის ამ გოლიათს.

ვიდრე მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს, ავსტრიელები საკუთარ თავსაც არ ივიწყებენ. თითქმის ორი წელი მოუწევთ აქ ყოფნა და ცხოვრა, თავშესაფარიც სჭირდებათ, მისვლა-მოსვლაში დრო რომ არ დაკარგონ, აქვე, სამშენებლო მოედანზე მართავენ ხოლ ერთსართულიან კომფორტულ სახლებს. ერთ რამედ ღირს მათი აწყობის პროცესის ხილვა. უკვე გამზადებული კედლები ისეა დალაგებული, ბევრი წვალება და ოფლის ღვრა არ სჭირდება.

შეეხვდით ალ ვეუაბრეთ მშენებლობის უფროსს ჰელმუტ რაუტერს, რომელმაც თავაზიანად შეგვიქო ქართული სტუმართმოყვარეობა, სითბო. მართალია, „აბვ-ვენა" პირველად როდი მოღვაწეობს აქ (გუდაურის სასტუმრო კომპლექსია მათი ნახელავია), მაგრამ რაუტერი ჯერ არ ყოფილა საქართველოში და, როგორც აღნიშნა, ძალზე კმაყოფილია, ჰელმუტ რაუტერმა ისიც გვითხრა, რომ სასტუმროს მშენებლობა 1991 წლის აპრილში დასრულდება, ყველმხრივ მზად იქნება სტუმართა მისაღებად.

მანამდე კი მშენებლობის უფროსს საქმე თავზე საყრელად აქვს, ამიტომ გადავწყვიტეთ, ხელი არ შეგვეშალა მისთვის.

სხვათა შორის, ავსტრიელები გულმოდგინედ ცდილობენ, თუნდაც ორიოდე ქართული სიტყვა ისწავლონ და ამით ასიამოვნონ თავიანთ მასპინძლებს. სახელდახელოდ მოწყობილ სამუშაო ოთახში თავშეყრილი უცხოელი სპეციალისტები სწორად „გამარჯობასა" და „ნახვამდის" ძახილით დაგვშორდნენ.

შენობის ჩონჩხის ოთხმოცი პროცენტი წელსვე აიგება, — გვიხსნის გენერალური დირექტორი, — პარალელურად შეკუდგებით ტერიტორიის გალამაზებას.

ეს ადგილი სამი მხრიდან უღიმამო კერძო სახლებითაა შემოჯარული და მხოლოდ იმ მხარეს, საითაც სასტუმროს „პირი" ექნება მიქცეული, იშლება თბილისური ხედები. ამან, ცოტა არ იყოს, დაგვაფიქრა, თუქა „მეტეხის" გენერალური დირექტორის თქმით, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქიტექტურის განყოფილების მიერ შერჩეული ეს ტერიტორია ძლიერ მოსწონებიათ თვით ავსტრიელ კოლეგებს...

მოსამზადებელი სამუშაოები სწრაფად მიმდინარეობს, სასაძინაკვლე უკვე მზადაა, მისასვლელი გზაც მოასფალტებულია, რომ ტექნიკას მისვლა არ გაუჭირდეს. საცაა ახალი სასტუმროს დვრიტაც ჩაიდგმა. მაშ, ჩვენი ადათისამებრ, ფუძე დაეფლოცოთ მას, და მარჯვენა მის კირთხუროებს.

სოსო ბალაშვილი.

წერილი „კომუნისტს"

ველით მხარდაჭერას

ღრმად ვართ დარწმუნებულნი: აზრი, რომელიც გვინდა მივაწოდოთ ჩვენს საზოგადოებას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და ქალაქის მმართველობას, სრულიად შეესაბამება ეროვნული აღორძინებისა და ზნეობრივი განწმენდის პროცესს, რომელიც ეფუძნება ძალისხმევირი და ჰუმანური საწყისების ურთიერთდაპირისპირებასა და რეალურ ბრძოლას.

საკითხი ეხება ოფიცერთა სახლის რუსთაველის გამზირზე ყოფნა-არყოფნის აუცილებლობას. დავიწყოთ იქიდან, რომ დღევანდელობის მთავარი თემა საბჭოთა პოლიტიკისათვის — მშვიდობისა და განიარაღების ღაღადისია. და მას სრულიად არ შეეფერება, კიდევ უფრო მეტი — ეწინააღმდეგება კიდეც სამხედრო პროპაგანდით აჭრელებული, უზარმაზარი დარაბები მშვიდობისმოყვარე ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე. ავი თვალისთვის ეს უტყუარ საბუთად გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ პოლიტიკა კვლავ, თვალთმაქცი ფაკირია და სიტყვით ერთს ამბობს, ხოლო საქმით მეორეს აკეთებს. ჩვენ კი, თბილისელები, თუ გულადილნი ვიქნებით, მაინ ვაღიარებთ კიდეც, რომ აპრილის მოვლენებისა და სამხედრო უწყების ყველა საქციელის შემდეგ, აუტანლად გამაღიზიანებელი და მოუთმენელია ოფიცერთა სახლის ჩვენს დედაქალაქზე არსებობა.

ესეც არ იყოს, ოფიცერთა სახლს, როგორც უწყებრივ დაწესებულებას, თავისი გარკვეული დანიშნულება აქვს, მისი მოღვაწეობის არე განსაზღვრულია და მისი საქმიანობისთვის სრულიად არ არის პრინციპული, იქნება თუ არა იგი განთავსებული ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე. კიდევ უფრო მეტი — ოფიცერთა სახლი ახლის უნდა იყოს სამხედრო უწყების სხვა დაწესებულებებთან ან იმ საცხოვრებელ სახლებთან, რომლებიც თავისი პროფესიის გამო მუდმივ გადანაცვლება-გადასახლებაში მყოფი ოფიცრები დროებით ცხოვრობენ ოჯახებთან ერთად. სამხედრო უწყების უზარმაზარი ტერიტორია აქვს გამოყოფილი თბილისში, სადაც თავმოყრილია ყველა სამხედრო-სამეთაურო სამსახური. ლოგიკურია, რომ ოფიცერთა სახლიც იქვე უნდა მოთავსდეს.

ჩვენთვის, თბილისელებისათვის, ყველა ქართველისათვის, და, ასე გასინჯეთ, — სტუმრებისთვისაც, — რუსთაველის გამზირს სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს. და ალბათ, სამხედრო უწყებისთვის არ უნდა ჰქონდეს პრინციპული მნიშვნელობა იმის, თუ სად იქნება ოფიცერთა სახლი, ჩვენთვის პირიქით: პრინციპული მნიშვნელობა აქვს რუსთაველის გამზირზე არსებულ ყველა ნაგებობას, ყველა დაწესებულებას, ყოველ ხესა და დარაბას. რუსთაველის გამზირი — ჩვენი მაჯისცემაა, ჩვენი აღმზრდელია, ჩვენი სიხარულისა და გლოვის ქუჩაა, ჭირისა და ლხინის მეტყველი მოზიარეა. ერთ-ერთი უმშვენიერესი გამზირი მსოფლიოში, — და ეს ჩვენი აზრი არ გახლავთ, დავეკითხოთ უცლებლივ ყველა სტუმარს, — საერთო მონაპოვარია კულტურის, ხუროთმოძღვრული, ისტორიული და ყველა სხვა თვალსაზრისით. მიელი თაობები გაგვზარდა „რუსთაველმა". მის ფილაქანს მშვიდად მოსეირნე, მშვიდობიანი თბილისელები და მათთან სიკეთით მოსული სტუმრები უნდა ცვეთდნენ დინჯი ნაბიჯით. რუსთაველის გამზირი მშვიდობას უნდა ქადაგებდეს და არა გასამხედროებულ ყოფას.

გფიქრობთ, ჩვენი წინადადება დროული და მნიშვნელოვანია. ოფიცერთა სახლმა უნდა დაუბრუნოს ქალაქს შენობა რუსთაველის გამზირზე, რომელიც სამხედრო უწყებას თავის დროზე მართებულად თუ უმართებულოდ გადაეცა. თავიდანვე ეს შენობა აგებული, როგორც ქალაქის საკუთარი. ჩვენი სურვილია, რომ ახლა ის ქართულ თეატრს გადაეცეს, კონკრეტულად კი „მეტეხის თეატრს", რომელსაც ამჟამად „თბილისის ქართული დრამატული თეატრი" ჰქვია. თუ ჩვენ ვერ აღმოვჩნდებით ღირსნი „რუსთაველისა", ჩვენს შემდგომ მოვლენ სხვანი და ისინი მაინც იტყვიან თავის სიტყვას, უფრო თავისუფალსა და მაღალმხატვრულს.

და თუ მართალნი ვართ, მაშინ თბილისელების მხარდაჭერასაც ველით.

სანდრო მრევლიშვილი.
საქართველოს სახალხო არტისტი.

კარგი წიგნი და... სალამო

ეტიუდი

მოძღვრის ვალს ისევე ვერ გადავიხდით, როგორც მშობლისას! არც ამ ეტიუდს ვწერ ვალის მოხდის მიზნით — მიზეზი დღლის ვარდივით მორთმეული უეცარი სიხარეარია, საყვარელი მასწავლებლის ორი ახლად გამოსული წიგნი: „ნარკვევები, პორტრეტები, ლექსთმცოდნეობა" („საბჭოთა საქართველო") და რომან-ეტიუდი „ფაიდას გაპოცადება" („ფერანი"), ორივე ბელეთადი წარწერით, კეთილი სურვილებით და „ფიქრთ გასართველად"...

რაოდენ ნიშნეული და დამახასიათებელია ბარათაშვილის ჩინებული მცოდნის, მისი შემოქმედებისა და სულის მკვლევარის, აკაკი გაწერელიასათვის, ასეთი წარწერა...

ყოველთვის სასიხარულოა ყოფილი მასწავლებლის ნახვა, საუბარი, მოგონებათა წიგნის გადაშლა. რამდენ რამეს გაიგებთ მისგან (და მისი ქმნილებებიდან) ახლაც, უკვე ხანდაზმული და მრავალჭირნახული ადამიანისაგან, ანუ სავსე კაცისაგან, როგორც იტყოდა ილია უაღრესად განათლებულ პირზე.

ლექციები, რომლებსაც გვიკითხავდა აკაკი გაწერელია 50-იან წლებში თბილისის ზოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, სწორედ ამ მრავალმხრივობით იყო გამორჩეული, მის მიერ წაკითხული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისა და დრამის თეორიის კურსი ყოველი სტუდენტისათვის საინტერესო და გასაგები, ინტელექტუალურიც და არტისტულიც, რაც არ გამორიცხავდა ზოგჯერ პათეტიკასაც, მიმზიდველი და სამახსოვრო იყო.

ესთეტის უტყუარი ალღო ისეთ დეტალებზე შეჩერდებოდა, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებული, მცოდნე და ფაქიზი კაცის თვალს და გონებას შეეძლო შეემჩნია და გადმოეღოცა დაინტერესებული ახალგაზრდობისათვის.

„ცრემლებიდან იღიმებოდა"... ეს ჰომეროსის წიტყვებია კასანდრაზე.

განსაცვიფრებელი პოეტური აღმოჩენაა.

როდესაც მისი ახალი წიგნის ბოლოში ასეთ დაკვირვებებს წავაწყდი, ის ინტიმი და უშუალობა აღდგა, რითაც ადრე „პეწს" მატებდა თავის ლექციებს...

სწორედ ამგვარი ინტიმით და უშუალობითაა გაჟღენთილი აკაკი გაწერელიას ახლადგამოსული რომან-ეტიუდი „ფაიდას გამოცხადება" (რედაქტორი — მ. სამადირაძე, მხატვარი — ი. დუნდუა), რომელშიც ასახულია ვერელეულ აგვუსტინის სიცოცხლის ბოლო დღეები, კერძოდ, ამბავი იმისა, თუ როგორ „გამოეცხადა სიკვდილის წინ უკვდავ მოძღვარს დიდი ხნის წინით დაკარგული სიყვარული, რომელიც ბერად აღკვეცას შემდეგაც ვერ გადაუვიწყებია.

დიდი ელინისტის გრიგოლ წერეთლის უკვდავ ხსოვნას უძღვნის ამ ნაწარმოებს მისი სტუდენტყოფილი აკაკი გაწერელია.

კრებულში „ნარკვევები, პორტრეტები, ლექსთმცოდნეობა" (რედაქტორი —ნ. იაშვილი, მხატვარი — გ. გორდელაძე), შეკიდა აკაკი გაწერელიას „რეული ნაწერებს" შედეგ გამოქვეყნებული ნარკვევები პოეტიკისა და სტილისტიკის საკითხებზე, ლიტერატურული პორტრეტები, მოგონებები და კრიტიკული ჩანაწერები. ამდენად ეს ახალი წიგნი ავტორის ლიტერატურათმცოდნეობითი ძიებების გაგრძელებაა.

რამდენი ძვირფასი სახელი შეგხვდებათ, მათ შორის ჩვენი დროის შემოქმედთა სახეები: ტიციან ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, დემნა შენგელაია, სერგო კლდიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, მუხრან მაჭავარიანი, შეგხვდებათ სტრიქონები მისი საყვარელი აღმზრდელების შესახებაც. ერთი მათგანია პეტრე მირიანაშვილი.

აი, სად იღებს თურმე სათავეს ის სიყვარული და აღტაცება, რომელსაც გვიზიარებდა თავის ცხოვრების შუადღეზე ბატონი აკაკი ზაქარია ფალიაშვილის „აბეზალომ და ეთერის" შესახებ.

მოგონებებში ჩაძირული კაცი სად არ აღმოჩნდება — წარსულის გზები ვრცელია... ხან მაგნოლიები გაახსენდება, ხან დაღლილი მთვარე, ხან თოთობაკშვილიანი ქალი (ლვთისმშობლის აპოლოგია), ხანაც მედიოლანე!

„ასე ფარფატებენ ჩემში წარსულის სურათები. მათ რა ამოსწურავს?"...

და დასკვნა:

„ყველა ხანდაზმული — „ეტროგრადია"!

ასეთ „ეტროგრადთან" საუბარი და წარსულის მოგლა „უდილიენოდაც" ფრიად სასიამოვნო და სასურველია.

ალბათ, არ გაგიკვირდებათ, ბატონო აკაკი, თქვენი სტუდენტყოფილისაგან არც შეხუმრება და არც ეირიკული გადახვევა.

„...გვიან მოგაშური შენ, უფალო ჩემოს" ავრელიუს ავგუსტინეს ეს სიტყვებიც თქვენი ფიქრებიდან გადმოვიწერეთ... გვიან, მაგრამ სამაგიეროდ მაშინ, როდესაც თქვენი სული ერთიანად ოქროსფერი ფოთლების ხალიჩითაა მოფენილი.

ნანა ღვინეფაძე.

ზღვამ გაიმარჯვა.

სიმონ კილაძის ფოტო.

კონტაქტები

ტურიზმი — მეგობრობის ელჩი

ბათუმი. (საქინფორმის კორ. თ. გენძეგაძე). სსრ კავშირის ინტურისტის სახელმწიფო კომიტეტის ბათუმის განყოფილებამ და თურქეთის ფირმამ „აქსაია თურ შანვერ ტურიზმმა" დადეს თანამშრომლობის ხელშეკრულება. და აი, თურქი ტურისტების პირველმა ჯგუფმა მოაწყო ტურნე საქართველოში. მოგზაურობის შესახებ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს ფირმის დირექტორი ნუროლ სარიჩიჩეკი.

— ერთი კვირა ვიყავით ბათუმის, ქობულეთის, წყალტუბოსა და თბილისის სტუმრები. ეს მოგზაურობა სამუდამოდ დარჩება მეხსიერებაში. თქვენებურების გულთანადგომა, გულწრფელი კეთილმოსურნეობა იგრძნობოდა ყველგან — ქუჩაში, დაწესებულებებში, ოჯახებში.

სტუმართა შორის ბევრი ქართველია, რომლებმაც იციან წინაპართა ენა, მათ შორისაა ჩვენი თანამოსაუბრეც. თურმე, მისი წინაპრები მამისაშვილები ყოფილან.

კარგი მოგზაურობა გამოვიყენეთ, თქვა შემდეგ სარიჩიჩეკმა. — ჩვენი ჯგუფის 20 კაცმა ერთხმად განგვაცხადა: „შესანიშნავი მოგზაურობა იყო". შვიდი მათგანი ქვეყნის წამყვანი გაზეთების „ჩუმჰურიეთის", „მილეთის", „ჰიურიეთის", „ოურრეეს", „თერ[illegible]ნის", „საბაქის" და „ზამანის" ჟურნალისტები არიან. ნახეს უამბობენ თურქ ხალხს კოლხეთის ძველთაძველი მიწა-წყლის შესახებ, რომელზეც კეთილი ადამიანები ცხოვრობენ. ჩვენი კეთილშობილური ურთიერთობა უნდა განვავითაროთ, ტურიზმი კი ამ საქმეში საუკეთესო დამხმარეა.

საბუნებისმეტყველო ორბიტა

ბაღდასარი. როტერდამში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპის ათი ტურის შემდეგ ა. კარპოვს 8 შეხვედრიდან 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. ჯ. ნანსაც (ინგლისი) და ი. ტიმანსაც (ჰოლანდია) 5,5-5,5 ქულა აქვთ, ოღონდ 9-9 შეხვედრიდან.

ერევანში დამთავრდა ტიგრან პეტროსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება. პირველი ადგილი მოიპოვა ლ